



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მორიგი სხდომის

№ 11

ქ. ბათუმი

2019 წლის 22 აგვისტო  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

**მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :**

თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა სირაბიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
თემურ კახიძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;

ნატალია ძიძიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარე;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
დავით მახარაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;
გელა დეკანაძე	საკრებულოს წევრი.
<b>არ ესწრებოდნენ:</b>	
დომიტრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;

## სხდომას ესწრებოდნენ:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კობინაძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეთერ ლომაძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭარაძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი;

ა(ა)იპ - „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ წარმომადგენლები;

საზოგადოება „ბათუმის“ წარმომადგენლები: ზეინაბ დიასამიძე, შოთა გუჯაბიძე, ნინო ინაიშვილი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე; იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე; ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა და წარმატებები უსურვა დამსწრე-საზოგადოებას. მან აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულია 15 საკითხის განხილვა და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით დასვით კითხვები.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ აღნიშნა, რომ სისტემური ხასიათი მიეცა საკრებულოს სხდომის წინა დღით საკითხების დამატება დღის წესრიგში, ეს შეეხება დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-3 საკითხს. მან წამოაყენა წინადადება დღის წესრიგიდან საკითხის ამოღების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან 16 აგვისტოს შემოვიდა წარმოდგენილი საკითხი, განხილულია საკრებულოს კომისიის სხდომებზე, ასევე ელექტრონულ ფოსტაზე 18 აგვისტოს დაგზავნილია საკრებულოს წევრებზე.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ ნოდარ დუმბაძის მიერ დღის წესრიგიდან „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ამოღება დააყენა კენჭისყრა-ზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 2 (ა. მამულაძე, ნ. დუმბაძე)

წინააღმდეგი - 18

არ მიიღო მონაწილეობა -1(გ. დეკანაძე)

**სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

### **დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :**

**საკითხი 1.** 2019 წლისათვის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის კლუბი - ბათუმი“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე)

**საკითხი 3.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 5.** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

**საკითხი 6.** ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

**საკითხი 7.** ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

**საკითხი 8.** „ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 30 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

**საკითხი 9.** ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

**საკითხი 10.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქაფყარაძე)

**საკითხი 11.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მამდიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქაფყარაძე)

**საკითხი 12.** „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქაფყარაძე)

**საკითხი 13.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსის გამოცხადების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქაფყარაძე)

**საკითხი 14.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №72 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხსენებელი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

**საკითხი 15.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხსენებელი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20

წინააღმდეგი - 1 (გ. დეკანაძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ დღეს განმეორებით უწევს ქალაქში პრობლემური საკითხების დასმა. სხდომებზე წამოჭრილი საკითხები დღესაც პრობლემურია, კერძოდ: თამარის დასახლებაში რკინიგზაზე გადასასვლელი

მოუწესრიგებელია, რომელიც ქმნის საცობს დილით და საღამოს საათებში. ამ რკინიგზის გადასასვლელს აერთიანებს 8 სოფელი. ასევე ანგისის დასახლებაში მდინარე მეჯინისწყლის ტერიტორიაზე მოსაწესრიგებელია სავალი გზები, კალაპოტი ვერ იტევს და საშინელ მდგომარეობაშია ტერიტორია.

საკრებულოს წევრმა გელა დეკანაძემ ბარცხანის ხიდთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამოსულია ხეები, რომლებსაც ნაყოფიც კი აქვს, მისაქცევია ყურადღება, ხიდზე ხვრელების გაჩენის გამო ზიანდება მანქანები.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ განცხადება გააკეთა მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, კერძოდ რუსთავი 2-ის შესახებ, ის ფიქრობდა, რომ ფრაქცია „ქართული ოცნებიდან“ ვიღაცას ეყოფოდა გამბედაობა და გააკეთებდა ინფორმაციას, მაგრამ სამწუხაროდ არა. ეს არის დიქტატორული რეჟიმის ჩამოყალიბების გზა, რომელსაც ხელმძღვანელობს ბიძინა ივანიშვილი, უახლეს პერიოდში საქართველოს არ ექნება კრიტიკული და ობიექტური მედია, რომელიც სიმართლეს გააშუქებს.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ გორგილაძის ქუჩის ბოლოს არის ორსართულიანი სახლები, სადაც არ ხორციელდება ინვესტიცია ტერიტორიის მოუწესრიგებლობის გამო.

საკრებულოს წევრმა ლაშა სირაბიძემ მადლობა გადაუხადა კომპანიას, რომელმაც „რვაფეხა“ აღადგინა. რომ არა ბათუმელი აქტივისტების, კულტურული მემკვიდრეობის დამცველების აქტიურობა და აქციების სერია, „რვაფეხას“ 2014 წელს დაანგრევდნენ და ამ ადგილას სხვა რამ აშენდებოდა. დღეს იმდროინდელი სახით დაუბრუნდა ბათუმს.

საკრებულოს წევრებმა ზურაბ ნაკაიძემ და ნატალია ზოიძემ მიულოცა მოსახლეობას „რვაფეხას“ აღდგენა. მადლობა გადაუხადეს ქართულ ფონდს ასეთი ღირებული საქმის გაკეთებისთვის.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.**

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 1. 2019 წლისათვის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 9 მარტის №5 დადგენილების მოთხოვნების შესრულება.

პროექტის მიხედვით ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის

ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსაზღვრა.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების მიღება დაგეგმილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან.

წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრები - 1,800,000 ლარის ოდენობით ასახული იქნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებში და გადასახდელეებში.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (გ. დეკანაძე, ნ. დუმბაძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის კლუბი - ბათუმი“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ კიძინიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №43 განკარგულებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიეცა თანხმობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის კლუბი - ბათუმი“ დაფუძნება და ამ მიზნით



განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები. ცვლილების მიზანია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის სახელწოდების შეცვლა.

წინამდებარე ცვლილებით ხდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის კლუბი - ბათუმი“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №43 განკარგულების სათაურში და პირველ პუნქტში ცვლილების შეტანა.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (გ. დეკანაძე, ნ. ღუმბაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი3„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილის აჭარის ავტონომიური რეს-პუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ივლისის №565-12 (№20630/25) კორესპოდენციით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში გადმოიგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შესული (N11/398, 26.07.2019 წ.), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წერილი (N01-01-10/3767, 26.07.2019 წ.) შპს „ლამინი ჯგუფი“-ს წევრი კომპანიების - შპს „ლამინი“-ს და შპს „Lamini G“-ს წერილების (N16, N56, 23/07/2019წ.) თაობაზე, შპს „ბათუმის დინამო“-ს 100%-ანი წილის 49 წლის ვადით მართვისა და სარგებლობის უფლებით, ნაცვლად შპს „Lamini G“-სა (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24.05.2019წ. N41 განკარგულება), შპს „ლამინი“-ზე გადაცემისა და სარგებლობაში გადასაცემი უძრავის ქონების (თანდართული სიტუაციური ნახაზის მიხედვით) დაზუსტების შესახებ. საკრებულომ ითხოვა, რომ ზემოაღნიშნული საკითხი შემჭიდროებულ ვადებში წარედგინოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე

განსახილველად (ანალოგიური წერილები შპს „ლამინი“-სა და შპს „Lamini G“-ს მიერ უშუალოდ წარმოდგენილი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამიც: №18; 23.07.2019; №20042/25 და №58; 23.07.2019; №20040/25)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წერილში აღნიშნულია, რომ 2019 წლის 19 ივლისს სამინისტროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2019 წლის 19 ივლისის №1731/02 კორესპოდენციით გადაიგზავნა შპს „ლამინი“-ს (ს/ნ 445533469) განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია შპს „დინამო ბათუმი“-ს (ს/ნ: 245622205) 100%-იანი წილის 49 წლის ვადით მართვისა და სარგებლობის უფლებით გადაცემა. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის #41 განკარგულებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შპს „დინამო ბათუმი“-ს 100%-იანი წილი პოზიტიური პირობით (შპს „Lamini -G“-სათვის 49 წლის ვადით მართვის უფლებით გადაცემის მიზნით) საკუთრებაში გადაეცა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას. ამავ განკარგულების მე-2 პუნქტი ითვალისწინებს შპს „დინამო ბათუმი“-ს კაპიტალიდან გამოტანილი უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 49 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში 2019 წლის 24 ივლისს შვიდა შპს „ლამინი“-ს განცხადება (რეგ. N01-01-09/5569) რომელშიც აღნიშნულია, რომ შპს „Lamini -G“ (ს/კ 448388708) და შპს „ლამინი“ (ს/ნ 445533469) „ლამინი ჯგუფი“-ს წევრი კომპანიებია. თავდაპირველად განცხადება შპს „დინამო ბათუმი“-ს ქონების განკარგვასთან დაკავშირებით შემოტანილი იქნა შპს „Lamini -G“-ს სახელით, თუმცა შემდეგ „ლამინი ჯგუფი“-ს გადაწყვეტილებით სპეციალურად დაფუძნდა შპს „ლამინი“ შპს „დინამო ბათუმი“-ს ქონების განკარგვის პროცესში მონაწილეობის მიზნით. ამიტომ შპს „ლამინი“ N01-01-09/5569 კორესპოდენციით ითხოვს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის #41 განკარგულებაში პოზიტიური პირობა შეიცვალოს და შპს „დინამო ბათუმი“-ს ქონება სამომავლოდ განიკარგოს არა შპს „Lamini -G“-ზე, არამედ შპს „ლამინი“-ზე. აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „Lamini -G“-ს 2019 წლის 24 ივლისს წარმოდგენილი N01-01-09/5568 კორესპოდენციით გაზიარებულია შპს „ლამინი“-ს პოზიცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წერილში ასევე აღნიშნავს, რომ შპს „ლამინი“-ს ზემოხსენებული განცხადების თანახმად, ანგისის საფეხბურთო ბაზის განვითარების რეგულირების გეგმის მიხედვით ესაჭიროება შპს „დინამო ბათუმი“-ს საკუთრებად რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 4465,7 კვმ. (წერილში შეცდომითაა ნაჩვენები 2889,7 კვმ) შენობა-ნაგებობების (საერთო ფართი) და მათზე დამაგრებული 72626,0კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.32.02.135) მხოლოდ ნაწილი, კერძოდ 58613 კვ.მ. (წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის მიხედვით). ამიტომ სამინისტრო ითხოვს დაზუსტდეს პირობა შპს „Lamini -G“-სათვის უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის ნაწილში. დარჩენილი ნაწილი - 14013 კვ.მ. ფართი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ განიკარგება სხვა საინვესტიციო პირობების განხორციელების მიზნით. სამინისტრო ითხოვს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის #41 განკარგულებაში შესაბამისის ცვლილებების შეტანას - შპს „Lamini -G“ შეიცვალოს შპს „ლამინი“-თ და დაზუსტდეს სარგებლობაში გადასაცემი უძრავი ქონება (თანდართული სიტუაციური ნახაზის მიხედვით).

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №41 განკარგულებაში შპს „Lamini -G“-ს შპს „ლამინი“-თ ჩანაცვლების ნაწილში ცვლილებების შეტანას. რაც შეეხება სარგებლობაში გადასაცემი უძრავი ქონების დაზუსტებას, მსგავს ცვლილებებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ვერ განახორციელებს, რადგანაც მიწის ნაკვეთი არსებული სახით შეტანილია შპს „დინამო ბათუმი“-ს კაპიტალში, იგი წარმოადგენს მის საკუთრებას, ხოლო შპს „დინამო ბათუმი“-ს 100%-ანი წილი უკვე გადაცემულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის.

## **ა ზ რ ი**

### **გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ აღნიშნა, რომ აჭარის მთავრობა ბათუმის საკრებულოსგან იმ ტერიტორიის ნაწილსაც ითხოვს, რომელიც შპს „დინამო ბათუმის“ საკუთრებაშია. საუბარია ანგისაში საწვრთნელ ბაზასთან მდებარე 14 013 კვ/მ ფართობის მიწის ნაკვეთზე, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დასაბუთებული მოთხოვნა იყო, რადგან მისთვის გამოუსედაგარი იქნებოდა.

### **სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

### **მ ო ო ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 30 მარტს მიიღო №34 განკარგულება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის

და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ”. აღნიშნული განკარგულების დანართი 2-ში (უძრავი ქონების პრივატიზების გეგმა) მე-14, 22-ე, 23-ე, 37-ე, 38-ე, 42-ე, 48-ე და 57-ე პუნქტებით ფიქსირებული მიწის ნაკვეთების განკარგვისას აუქციონის ფორმად განისაზღვრა პირობებიანი (გათვალისწინებული იყო შეზღუდვები - დარეგისტრირებული კონფიგურაციით (არსებული საზღვრებით, ფართობით), ასევე მიწის გაყოფისას შემცირებულ ფართობზე, მშენებლობის უფლების გარეშე. მშენებლობა შესაძლებელია მხოლოდ აუქციონზე შეძენილი მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან (ნაკვეთებთან) გაერთიანების შემთხვევაში). სახელმწიფო აუდიტის შეფასებით მიწის ნაკვეთები ზემოაღნიშნული პირობით არ უნდა განიკარგოს. შესაბამისად, საჭიროა შევიდეს ცვლილება საკრებულოს 2018 წლის 30 მარტს №34 განკარგულებაში და განკარგულების დანართი N2-ის მე-14, 22-ე, 23-ე, 37-ე, 38-ე, 42-ე, 48-ე და 57-ე პუნქტები ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

ასევე იგეგმება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 მიწის ნაკვეთის პრივატიზება. შესაბამისად უნდა მოხდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებით დამტკიცებულ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავ ობიექტთა ნუსხაში (დანართი 1) და უძრავი ქონების პრივატიზების გეგმაში (დანართი 2) 63-65 პუნქტების დამატება.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 4 (გ. დეკანაძე, ნ. დუმბაძე,  
ა. მამულაძე, რ. თავართქილაძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, დასახლება მახინჯაურში მდებარე 173,00 კვ.მ.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.34.25.809) უძრავი ქონების სარგებლობაში გაცემა.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19  
წინააღმდეგი - 0  
არ მიიღო მონაწილეობა - 2 (გ. დეკანაძე, ნ. დუმბაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 6. ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხის მიღება განაპირობა, საქართველოს კანონმა „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსმა“, რომელმაც დაადგინა, რომ მუნიციპალიტეტების მიერ უნდა მოხდეს ახალ სამშენებლო კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა მუნიციპალიტეტის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების. აღნიშნულმა კოდექსმა გარდამავალი დებულებების სახით დაადგინა, რომ 2019 წლის 3 ივნისამდე დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას. 2019 წლის 3 დეკემბრამდე უზრუნველყოფილ იქნეს ასეთი გეგმების ამ კოდექსისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობა და შესაბამისი გეგმის სახით დამტკიცება. 2019 წლის 3 ივნისამდე დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმების გეგმარებითი დავალების საფუძველზე შესაბამისი გეგმის შემუშავება შეიძლება დასრულდეს აღნიშნული გეგმარებითი დავალების დამტკიცების მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთი გეგმის დამტკიცებიდან 1 წლის ვადაში უზრუნველყოფილ იქნეს მისი ამ კოდექსისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობა და შესაბამისი გეგმის სახით დამტკიცება.

პროექტის მიზანია შემდეგი სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება: ა) „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის N50 დადგენილება;

ბ) „საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის დროებითი სარგებლობის წესი“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის N6 დადგენილება;

გ) „ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 30 ივლისის N27 დადგენილება;

დ) „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში მიღებული III და IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შენობების ფასადების საგარანტიო პერიოდის განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 3 მაისის N25 დადგენილება;

ე) „თვითმმართველი ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობის სფეროში დამატებითი საორგანიზაციო წესების განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 30 ივლისის N12-4 დადგენილება;

ვ) „შენობა-ნაგებობათა ფასადებზე (ლიობებზე, ვიტრაჟებზე) შესაბამისი საქმიანობის ან/და შესაბამისი სასაქონლო ნიშნის აღმნიშვნელი წარწერის განთავსების ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 15 ივლისის N40 დადგენილება.

#### **ა ზ რ ი**

#### **გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ მშენებლობები მიმდინარეობს ქალაქში, მაგრამ ფასადების ხარისხთან დაკავშირებით არის პრობლემები, რისთვისაც უნდა შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ გამოთქვა უკმაყოფილება საცხოვრებელ სახლებზე მიშენებების ნებართვის გაცემაზე. ასეთი ნებართვები არ უნდა გაიცეს.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხს არ ეხება წამოჭრილი პრობლემები და ამიტომ საკრებულოს სამდინვოს სთხოვა აღნიშნულ საკითხებზე ქალაქ ბათუმის მერიისგან ინფორმაციის მოთხოვნა.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (გ. დეკანაძე, ნ. დუმბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი  
დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო შპს „ბათუმი რივიერა“-ს მოთხოვნის საფუძველზე. საკითხი ეხება ქ. ბათუმში, იაკობ გოგებაშვილის ქუჩასა და ზღვის სანაპიროს შორის მდებარე ტერიტორიაზე N05.21.01.031; N05.21.01.030; N05.21.01.029; N05.21.01.018; N05.21.20.079; N05.21.20.070; N05.21.20.071; N05.21.20.084; N05.21.20.082; N05.21.21.015; N05.21.20.053; N05.21.20.076; N05.21.20.056; N05.21.20.087 განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას. წინადადება მოიცავს მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობას, რომელიც მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს, სასტუმროებს, საზღვაო სანაოსნოსთან ინტეგრირებულ მრავალფუნქციურ კომპლექსს, იახტკლუბს, ხელოვნურ ლაგუნას, რესტორნებს, კონვენციის ცენტრს, კაზინოს, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ სივრცეებს. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის თანახმად, ნაკვეთების მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს ხელოვნური ყურე, სადაც გათვალისწინებულია ნავსადგომი იახტებისათვის.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში საქმის განხილვისას ქ. ბათუმის მერიის მიერ დადგინდა, რომ საპროექტო კომპლექსი, რომლის მშენებლობასაც აპირებს შპს „ბათუმი რივიერა“, თავისი მახასიათებლებით, ფუნქციური დატვირთვიდან და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით წარმოადგენს მე-5 კლასის ობიექტს, რაზეც ქ. ბათუმის მერიის მიერ ნებართვა არ გაიცემა, ასეთი სახის ობიექტზე მშენებლობის ნებართვას გასცემს შესაბამისი საჯარო დაწესებულება.

ა ზ რ ი

გ ა მ თ ქ გ ე ს :

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ დასვა შეკითხვა კომპანიაში დასაქმების რაოდენობის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომპანიის წარმომადგენელმა რამდენჯერმე გააკეთა პრეზენტაცია, სადაც საუბარია მილიარდ ნახევარ ინვესტიციაზე და რამდენიმე ათასი ადამიანის დასაქმებაზე.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ კარგი და მნიშვნელოვანი პროექტია, რაზედაც ფრაქცია „ბათუმი“ დაუჭერს წარმოდგენილ საკითხს მხარს.

სხდომის თავმჯდომარემ ტრიბუნასთან 3-3 წუთიანი გამოსვლის უფლება მისცა საზოგადოება „ბათუმის“ წარმომადგენლებს ნინო ინაიშვილს, ზეინაბ დიასამიძეს და შოთა გუჯაბიძეს.

ნინო ინაიშვილმა აღნიშნა, რომ მიმართეს რამდენჯერმე გარემოს დაცვის სამინისტროს, პრემიერ-მინისტრს და ქალაქ ბათუმის მერიას. მერიისგან მათ შენიშვნებზე არ მიუღიათ ადეკვატური პასუხები, რომელიც არის ძალიან სერიოზული. საკრებულო ვალდებულია ამაზე გასცეს პასუხები, პირველი ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით გაუგზავნეს შეკითხვები გარემოს დაცვის სამინისტროს, სადაც დაუსვეს რომ ლაგუნის შემოჭრა ხდება ხმელეთზე, ამაზე კი პასუხობს, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმა გარემოს დაცვის შეთანხმებას არ ექვემდებარება, რაც არის ძალიან სერიოზული დარღვევა, რის თაობაზეც მიმართავენ სასამართლოს. ამაზე პასუხს აგებს სახელმწიფო, პრემიერ-მინისტრი, ეკონომიკის სამინისტრო, მერია და საკრებულო მოსახლეობის უსაფრთხოებაზე. მეორე, რომ მერიას მიწერეს, რომ ეს არის საქმიანი, ფუნქციური ზონა, დამტკიცებული საკრებულოს მიერ. რაც ნიშნავს იმას, რომ აქ საცხოვრებლები არ უნდა აშენდეს, ამ შემთხვევაში კომპანიას აწყობს მაღლივი შენობის აშენება და მესამე, რომ საკრებულო არ სცნობს არც ფუნქციურ ზონას და არც კულტურულ მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ტერიტორიას, რომელსაც არ შეესაბამება განაშენიანება, რის გამოც მოეთხოვებათ პასუხები. ასევე აღნიშნა, რომ აგრძელებენ საჯარო პროტესტს და მიმართავენ სასამართლოს. კომპლექსის მშენებლობა ხორციელდება ბათუმის კონცხზე, სადაც სანაპირო ზოლის სტაბილურობის პრობლემა მწვავედ დგას. ამას ადასტურებს, ამ საკითხის გადასაწყვეტად სახელმწიფოს მიერ აღებული კრედიტები მსოფლიო ბანკისა და აზიის განვითარების ბანკისგან.

ზეინაბ დიასამიძემ ბათუმელების მთავარი სათქმელი თქვა. მან აღნიშნა, რომ ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას და თვითმმართველობას და არა იმ კერძო კომპანიას, რომე-



ლიც რაღაც ფარატინა ქალაქებით აპირებს ლელოს გატანას, რადგან მთავარი მოპასუხე მოქალაქეებისა არის მთავრობა. სამწუხაროდ, არ ესმით ხალხის ხმა, არ ითვალისწინებენ რივიერას პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებებს და არგუმენტებს. ჩრდილო მეზობლის ტერიტორიაზე აგვისტოს დასაწყისში ბირთვული კატასტროფა მოხდა, რომელიც თავისი მაშტაბებით ჩერნობილის კატასტროფას გაუტოლდა, თუმცა იმ ქვეყნის ხელისუფლება რატომღაც მალავდა ამ ინფორმაციას. უფრო მეტიც ჩინოვნიკებს, მედიკოსებს, ჟურნალისტებს, პილოტებსაც კი დუმილის ვალდებულებაზე მოაწერინეს ხელი. ბირთვული კატასტროფისგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ კატასტროფა კატასტროფაა, სავალალო შედეგები შეიძლება შემოიტანოს იმ კატასტროფამაც, რისკების გაუთვალისწინებლობით, რომელიც წარმოდგენილ პროექტს ახლავს თან, შეიძლება ჩააგდოს საფრთხეში ქალაქი და ქალაქელები. მოქალაქეები გააგრძელებენ პროტესტს, სამწუხაროდ ამ ქვეყნად მუდმივი არაფერია და არც დღევანდელი მთავრობა იქნება ხელისუფლებაში. დღეიდან მოგიწევთ პასუხისმგებლობის აღება და არა მარტო საქართველოს, არამედ საერთაშორისო მართლმსაჯულების წინაშე დადგებიან პასუხის გასაცემად, რადგანაც საქართველოს საზოგადოების მოთხოვნა ასეთია.

შოთა გუჯაბიძემ გააცნო 1994 წლის 2 სექტემბრის დადგენილება №186. ქალაქ ბათუმის ისტორიული უბნის რეკონსტრუქციის შესახებ. მოწონებულ და დამტკიცებულ იქნეს საქართველოს ისტორიის კულტურისა და ბუნების, ძეგლთა დაცვის მთავარი სამეცნიერო საწარმოს სამმართველოს მიერ შემუშავებული ბათუმის ისტორიული ნაწილის მთავარი ზონები. საზღვრები მელიქიშვილის ქუჩით ნინოშვილის ქუჩის გადაკვეთამდე, ნინოშვილის ქუჩა სულიკო ჟღენტის ქუჩა, სანაპირო ზოლის საზღვაო ვაგზლიდან ჭავჭავაძის ქუჩის დასაწყისამდე. ამ ტერიტორიაში შედის რივიერა, რომელიც დღეს განიხილება. ქ. ბათუმის ისტორიული უბნის პირველი ხარი-

სხის დაცვის ზონაში აიკრძალოს სამსართულზე მაღალი შენობა-ნაგებობის აშენება. ამ კანონის მიხედვით 4 სართული რომ შემოეტანა ნებისმიერს, არ უნდა გაცემულიყო ნებართვა. ავტომატურად საკრებულოს წევრები ხელის აწევით ჩაიდენენ დანაშაულს. ის დარწმუნებულია, რომ გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლევინებს, მაგრამ სურს, რომ ფაქტი დაფიქსირდეს. ოქმს გამოითხოვს, სამართლებრივი პროცესებისთვის.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19  
წინააღმდეგი - 0  
არ მიიღო მონაწილეობა -2 (ნ. დუმბაძე, გ. დეკანაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

დარბაზში მოქალაქეებმა გამოხატეს პროტესტი, საკრებულოს წევრებს მიმართავდნენ, რომ პროტესტი გაგრძელდება.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 8. „ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 30 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხის მიღება განაპირობა, საქართველოს კანონმა „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსმა“, რომელმაც დაადგინა, რომ მუნიციპალიტეტების მიერ უნდა მოხდეს ახალ სამშენებლო კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა მუნიციპალიტეტის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების. აღნიშნულმა კოდექსმა გარდამავალი დებულებების სახით დაადგინა, რომ 2019 წლის 3 ივნისამდე დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას. 2019 წლის 3 დეკემბრამდე უზრუნველყოფილ იქნეს ასეთი გეგმების ამ კოდექსისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობა და შესაბამისი გეგმის სახით დამტკიცება. 2019 წლის 3 ივნისამდე დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმების გეგმარებითი დავალების საფუძველზე

შესაბამისი გეგმის შემუშავება შეიძლება დასრულდეს აღნიშნული გეგმარებითი დავალების დამტკიცების მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთი გეგმის დამტკიცებიდან 1 წლის ვადაში უზრუნველყოფილ იქნეს მისი ამ კოდექსისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობა და შესაბამისი გეგმის სახით დამტკიცება.

პროექტის მიზანია „ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 30 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა: 2 (გ. დევანაძე, ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო შპს „საერთაშორისო სამშენებლო ჯგუფი“-ს მოთხოვნის საფუძველზე. საკითხი ეხება ქ. ბათუმში, დაბა მახინჯაურში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.34.22.235 და ქ. ბათუმში, თამარ მეფის I შესახვევი N4დ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.34.22.122 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას. მოიცავს მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობას, რომელშიც განთავსდება სასტუმრო, სასტუმრო აპარტამენტები, საცურაო აუზი, კაფე-რესტორანი. კომპლექსის ეზოში მოეწყობა ღია საცურაო აუზი და ა. შ. მრავალფუნქციური ობიექტის ეზოში მოეწყობა ავტოსადგომები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამშენებლო სამუშაოები დაიწყება 2020 წელს და დასრულდება 2023 წელს. მშენებლობის დროს დასაქმდება არანაკლებ 200 საქა-

რთველოს მოქალაქე, ხოლო პროექტში განხორციელდება არანაკლებ 14 000 000 ლარის ინვესტიცია.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა: 1 (ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19  
წინააღმდეგი - 0  
არ მიიღო მონაწილეობა : 1 (გ. დეკანაძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სა-კრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქაფჯარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში, მოქალაქეზე (მგზავრზე) მორგებული სამარშრუტო ქსელის დამტკიცება. ერთწლიანმა დაკვირვებამ და დადგენილებების პრაქტიკულმა აღსრულებამ ნათლად გამოავლინა ხარვეზები აღნიშნული მიმართულებით, რაც საჭიროებს ცვლილებებს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანების გაუმჯობესებისათვის აუცილებელია აღნიშნული პროექტის დამტკიცება.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა: 2 (ნ. დუმბაძე, ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18  
წინააღმდეგი - 0  
არ მიიღო მონაწილეობა : 1 (გ. დეკანაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი  
დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქაფჯარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო სამგზავრო გადაყვანების რეგულირების გაუმჯობესება, ერთწლიანმა დაკვირვებამ და დადგენილებების პრაქტიკულმა აღსრულებამ ნათლად გამოავლინა ხარვეზები, რაც საჭიროებს ცვლილებებს. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანების გაუმჯობესებისათვის აუცილებელია აღნიშნული პროექტის დამტკიცება.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა: 4 (ნ. დუმბაძე, გ. დეკანაძე,  
ი. პატარიძე, თ. კახიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 12. „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქაფყარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტით განისაზღვრა ნებართვის გაცემის ფასი და მისი გადახდის ვადები M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შევსებას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა: 4 (ნ. დუმბაძე, გ. დეკანაძე,  
ი. პატარიძე, თ. კახიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 13. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქაფყარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანების ნებართვის მამიებელთა კონკურსის გამოცხადება M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანების გაუმჯობესება, სამარშრუტო ხაზებზე ტექნიკურად გამართული და მოწესრიგებული M2 კატეგორიის ავტობუსების მოძრაობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია აღნიშნული პროექტის დამტკიცება.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა: 4 (ნ. დუმბაძე, გ. დეკანაძე,  
ი. პატარიძე, თ. კახიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 14. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №72 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხსენებელი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია საკრებულოს წევრის დიმიტრი ჭეიშვილის მიერ წარმოდგენილი N11/149 განცხადებით (18.07.2019წ.), რომლის თანახმად მას სურს შევიდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიაში, კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა: 4 (ნ. დუმბაძე, გ. დეკანაძე,  
ი. პატარიძე, თ. კახიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 15. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ და საპროცედურული საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხსენებელი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია საკრებულოს წევრის დიმიტრი ჭეიშვილის მიერ წარმოდგენილი N11/149 განცხადებით (18.07.2019წ.), ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა: 4 (ნ. დუმბაძე, გ. დეკანაძე,  
ი. პატარიძე, თ. კახიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.



საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თეზიძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე

